პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი.

№ 87 (686) | ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

დიდი თარიღის შესახვედრად

რამდენიმე დღე და გმირი საბჭოთა ხალხი მთელი მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ზეიმით აღნიშნავს დიდი ლენინის მიერ შექმნილი, დედამიწის ზურგზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არსებობის 36-ე წლისთავს.

საბჭოთა ხალხმა დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არნახულ წარმატებებს მიაღწია მრეწველობის, კულტურისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში — ეკონომიურად განმტკიცდა ჩვენი საყვარელი სამშობლო.

საბჭოთა ხალხი ამ საყოველთაოსახალხო დღესასწაულს დიდი შრომითი მიღწევებით ხვდება. მუშები, კოლმეურნეები დგანან წინასაოქტომბრო სტახანოვურ ვახტზე და წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. „სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!" — ასეთი დევიზით იღვწიან საბჭოთა პატრიოტები დაზგებთან, საკოლმეურნეო მინდვრებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაიშალა ჩვენს რესპუბლიკაშიც. თვითეულ სტახანოველს, საკოლმეურნეო მინდვრის ნოვატორს სურს თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. შრომის ფერხულში ჩაბმული არიან აგრეთვე წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურელები და სპორტსმენები. თელავის ძაფსალები ფაბრიკის მოწინავე ფიზკულტურელებმა ე. ბოჭორიძემ, ნ. ფილიშვილმა, ნ. ლოგვინამ და სხვებმა ვალდებულება იკისრეს საწარმოო დავალება 110 პროცენტით შეასრულონ. თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის სტახანოველმა ს. სიგუამ იკისრა ყოველდღიური დავალების 115-120 პროცენტით განაღდება. დიღმის მტს-ის მექანიზატორები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ბრძნული დადგენილებით, ახალი მიღწევებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს. სპორტსმენმა ო. წამალაშვილმა მოკლე დროში აითვისა „კდ-35" მარკის ტრაქტორის მართვა, წარმატებით დაამთავრა საშემოდგომო ხვნა-თესვა და ახლა მზრალად ხვნას აწარმოებს. მან გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარის ნაცვლად 80 მოხნა და 778 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

ამ დღეებში დედაქალაქის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა საოქტომბრო საჩუქარი მიიღეს — კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, სადაც მუშა სპორტსმენებს საშუალება ექნებათ ნაყოფიერ შრომასთან ერთად აიმაღლონ სპორტული ტექნიკა და კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ამ დღეებში თბილისელმა ნორჩმა სპორტსმენებმა ლ. ანთაძემ და ლ. სესაძემ. პირველმა 100 მეტრზე რბენაში, ხოლო მეორემ ბადროს ტყორცნაში საკავშირო რეკორდები დაამყარეს.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების საქმეში ჩამორჩენა გვაქვს. ქუთაისისა და აჭარის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და სპორტულმა საზოგადოებებმა ვალდებულება აიღეს 7 ნოემბრისათვის გაანაღდონ გეგმა. მათი სიტყვა საქმეს არ უნდა დასცილდეს. საჭიროა დავრაზმოთ ფიზკულტურული აქტივი, გამოვიყენოთ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარება და ნიშნოსნების, თანრიგოსნების მომზადების გეგმა სასახელოდ შევასრულოთ.

რესპუბლიკაში უკვე იგრძნობა ზამთრის მოახლოვება. ეს პერიოდი მრავალმხრივ საინტერესოა. სულ მალე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან და საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან ბაკურიანში გაემგზავრებიან მოთხილამურეები. გაიმართება წარმტაცი ასპარეზობანი სლალომში, სწრაფდაშვებაში, სხვადასხვა მანძილზე რბენაში. ეს პერიოდი ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ. საჭიროა ჩამოვაყალიბოთ და განვამტკიცოთ მოთხილამურეთა სექციები, ბაკურიანის გარდა შეჯიბრებები გავმართოთ მესტიაში, ონში და რესპუბლიკის სხვა თოვლიან რაიონებში.

ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ სპორტული დარბაზების კეთილმოწყობაზე, სათხილამურო ინვენტარის შეძენაზე, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი იმ სპორტსმენებს, რომლებიც სრულწლიურ წვრთნას ეწევიან.

რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები დაუღალავად იბრძვიან, რათა წარმატებით გადაჭრან სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანა.

სპორტული შეჯიბრებები დღესასწაულის დღეებში

თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციები მრავალი სპორტული ღონისძიებებით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ ბაზებზე გაგრძელდება მეოთხე ტრადიციული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

გრძელდება საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტისა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტთა სპარტაკიადები.

სპორტულ შეჯიბრებებს გამართავენ აგრეთვე ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, 26 კომისრის სახელობის ქარხნებისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები.

მოეწყობა ქალაქის ტექნიკუმების პირველობის გათამაშება კალათბურთში, ფეხბურთში.

6-9 ნოემბერს საჭადრაკო კლუბში გაიმართება აზერბაიჯანისა და საქართველოს მოჭადრაკეთა შეხვედრა.

ПАРТИИ
ЛЕНИНА
СТАЛИНА
СЛАВА!

სტუმრად ჩინელ მეგობრებთან

ჩინეთიდან სამშობლოში დაბრუნდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების დელეგაცია. ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ერთი თვის განმავლობაში სტუმრად იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ამ ხნის განმავლობაში მათ მრავალი საჩვენებელი გამოსვლა მოაწყეს პეკინში, მუკდენში, ტიანცზინში, ნანკინში, შანხაისა და კანტონში. მსოფლიოში სახელგანთქმული ტანმოვარჯიშეების ჩუკარინის, მურატოვის, ბოჩაროვას, ურბანოვიჩის, მ. ჯუღელისა და სხვათა გამოსვლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ვერც ერთი სპორტული დარბაზი, სადაც კი ეწყობოდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამოსვლები, ვერ იტევდა მაყურებელთა ნახევარსაც კი. ამიტომ გამოსვლების დიდი ნაწილი ტარდებოდა ღია ცის ქვეშ. საბჭოთა სპორტსმენების ყოველ გამოსვლას ესწრებოდა 30-დან 70 ათასამდე მაყურებელი.

ჩინეთში ყოფნის დროს საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ხშირად ხვდებოდნენ სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ისინი მეგობრულ საუბარში ჩინელ ამხანაგებს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას.

ჩინეთის ყველა გაზეთი აღფრთოვანებით აღნიშნავდა საბჭოთა სპორტსმენების უბადლო ოსტატობას. გაზეთები დიდი რაოდენობით ბეჭდავდნენ საბჭოთა სპორტსმენების ფოტოსურათებს.

საბჭოთა სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლები ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ნათელი დადასტურება იყო.

ახალი მსოფლიო რეკორდი

ვარშავაში, „გვარდიას" სპორტდარბაზში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში საბჭოთა პროფკავშირების სპორტსმენებსა და პოლონეთის ნაკრებ გუნდს შორის. ყველა წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს საბჭოთა ძალოსნებმა.

დიდი წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა საბჭოთა ძალოსანმა ნ. კოსტილევმა (მსუბუქი წონა). მან ორი ხელით აიტაცა 118,7 კილოგრამი, რაც დ. ივანოვის მიერ ამას წინათ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე (118 კგ) უკეთესია.

საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენლები ინგლისში

ლონდონიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. ინგლისში ყოფნის დროს საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენლები ესტუმრნენ ლონდონის ფეხბურთელთა კლუბებს, დაესწრნენ გუნდების ვარჯიშებს და შეჯიბრებებს, ისაუბრეს ცალკეულ მოთამაშეებთან და მწვრთნელებთან.

საბჭოთა დელეგაციამ 1954 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის მოწვევა გადასცა ინგლისის ფეხბურთელთა პოპულარულ კლუბს „არსენალს".

საოქტომბრო საჩუქარი

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტსმენებისათვის პირველი ნოემბერი სადღესასწაულო დღე იყო. მათ საოქტომბრო საჩუქარი — ახალი სპორტული დარბაზი მიიღეს.

...შედიხართ სამმართველოს ეზოში და ხედავთ წარწერას: „ფიზკულტურული მოედნები". აქაა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი და ბოლოს თქვენ წინ აღიმართება ახალი, ლამაზი შენობა — ტრამვაელთა შესანიშნავად მოწყობილი სპორტული დარბაზი.

ცენტრალური დარბაზის (მასში მოთავსებულია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ღერძი, ორძელი და სხვ.) გვერდით მოეწყო ჭიდაობისა და ძალოსნობის ოთახები, ქალთა და ვაჟთა გასახდელები და შხაპები, ექიმის კაბინეტი. დარბაზები მოცულობით სავსებით აკმაყოფილებს ფიზკულტურელთა მოთხოვნებს.

1 ნოემბერს ახალი დარბაზი საზეიმოდ მოერთოთ. ამ დღეს აგრეთვე დანიშნული იყო ტრამვაელთა ტრადიციული მე-4 სპარტაკიადის გახსნა. ოთახებში გამოფენილი იყო ტრამვაელ ფიზკულტურელთა და გუნდების მიერ მოპოვებული გარდამავალი დროშები, დიპლომები, სიგელები და თასები.

სპორტული დარბაზის გახსნას მრავალი სტუმარი დაესწრო. მარშის ხმაზე დარბაზში მწყობრად შემოვიდნენ სამმართველოს უძლიერესი ფიზკულტურელები. ისინი შრომაშიც მოწინავენი არიან — ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 175-250 პროცენტით ანაღდებენ.

ფიზკულტურელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და ახალი საჩუქარი მიულოცა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსმა, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭიდაობაში გამარჯვებისათვის სამმართველოს გუნდებს ჯილდოები გადასცა „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ პ. სობოლევმა. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსმა გ. რცხილაძემ მისალმების შემდეგ სპორტსმენებს გადასცა თასი ნიჩბოსნობაში თბილისის პირველობაზე გამარჯვებისათვის. დამთავრდა საზეიმო განყოფილება.

სპორტულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის საუკეთესო სპორტსმენებმა და კოლექტივებმა. დამსწრეთა მოწონება დაიმსახურეს ტანმოვარჯიშეების — სპორტის დამსახურებული ოსტატების ა. ჯორჯაძისა და ნ. თაყაიშვილის, სპორტის ოსტატების — ა. ალფაიძისა და ო. ქორქიას გამოსვლებმა. კარგი იყო ტანმოვარჯიშე გოგონების — გედევანიშვილისა და პენკოვას, აგრეთვე აკრობატთა ოთხეულის მიერ შესრულებული ვარჯიშები.

შემდეგ მოეწყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პირველობის კალენდარული შეხვედრა კალათბურთში. ითამაშეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა პირველმა გუნდებმა.

უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ჯორჯიკია, სპორტის ოსტატები დ. გოძიაშვილი, და გ. აბაშიძე. შეხვედრა დამთავრდა უნივერსიტეტის გუნდის გამარჯვებით — 90:73.

დარბაზში კალათბურთელები ფრენბურთელებმა შეცვალეს. საინტერესო იყო საქართველოს ორი უძლიერესი ვაჟთა გუნდის — თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდების კოლექტივების შეხვედრა. გაიმარჯვეს სტუდენტებმა.

• • •

სურათზე: დარბაზის შიდა ხედი საზეიმოდ გახსნის დღეს.

შრომითი აღმავლობის ნიშნით

ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან ოქტომბრის დღესასწაულს დედაქალაქის თამბაქოს № 2 ფაბრიკის ფიზკულტურელები, რომლებიც მთელ კოლექტივთან ერთად სამშობლოს მაღალხარისხოვან პაპიროსს აწვდიან.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ კომკავშირელი სპორტსმენები: ტანმოვარჯიშე ა. გეურქოვა, მძლეოსანი ვ. მაკაროვა, ფრენბურთელები — გ. ნაჭყებია, მ. კაკაშვილი და სხვ. 70-მდე ფიზკულტურელი ფაბრიკის მთელ კოლექტივთან ერთად ქვეყანას ასეულ ათასობით ცალ ზეგეგმით პაპიროსს მიაწვდის.

„რაპიდის" მოსკოვში ყოფნის გამო

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ფეხბურთის მოყვარულნი შეხვდნენ სსრ კავშირში მყოფ „რაპიდის" ფეხბურთელებს.

მოსკოვში ყოფნის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ავსტრიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი დოქტორი ლანგი, რომელმაც აღნიშნა:

„ჩვენთვის დიდი პატივი იყო სსრ კავშირის ფეხბურთელებთან შეხვედრა. შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამან საფუძველი ჩაუყარა ავსტრიისა და სსრ კავშირის სპორტსმენებს შორის მეგობრობას. მოსკოვმა ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. გვახარებდა საბჭოთა მაყურებლის, სპორტსმენების დიდი სტუმართმოყვარეობა. საბჭოთა ფეხბურთელები მაღალი კლასის მოთამაშეები არიან. მე ვფიქრობ, რომ მალე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში შევხვდებით საბჭოთა გუნდს და მათ ისევე გულთბილად მივიღებთ, როგორი სტუმართმოყვარეობაც მათ მოსკოვში გაგვიწიეს".

წვრთნაში მაღალი დატვირთვების შესახებ

საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი მოჭიდავეთა, შტანგისტთა, კალათბურთელთა, მოციგურეთა, ტანმოვარჯიშეთა, ნიჩბოსანთა, ფეხბურთელთა, მძლეოსანთა ბრწყინვალე გამოსვლები ცხადყოფენ საბჭოთა სპორტის კლასის ამაღლებას.

საბჭოთა სპორტსმენების მნიშვნელოვანი წარმატებები ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის ზრდის, აგრეთვე მწვრთნელ-მასწავლებელთა და წამყვან სპორტსმენთა თავდადებული მუშაობის შედეგია. მათ შეძლეს შემოქმედებითად გარდაექმნათ სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სარგებლობენ რა მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მონაცემებით და განაზოგადებენ რა საბჭოთა სპორტის დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას.

სასწავლო-საწვრთნელ პროცესში მომხდარი ცვლილებები პირველყოვლისა გამოიხატა საწვრთნელ დატვირთვათა მნიშვნელოვან გადიდებაში. სპორტსმენები წვრთნას აწარმოებენ მთელი წლის განმავლობაში; გაქრა სეზონთა შორის უქმადყოფნის ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაში იკარგებოდა ის, რაც დიდი შრომით იყო მიღწეული სპორტული სეზონის განმავლობაში. გაიზარდა მეცადინეობათა სიხშირე და ხანგრძლივობა; მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე თვითეული წვრთნის დროს ჩატარებული მუშაობის მოცულობა და ინტენსიობა.

წარმატებით იყენებენ რა წვრთნაში მაღალ დატვირთვებს, საბჭოთა სპორტსმენები მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ თავიანთ სპორტულ მიღწევებს ჯანმრთელობისათვის ყოველგვარი უარყოფითი შედეგის გარეშე.

მაღალი საწვრთნელი დატვირთვები საშუალებას იძლევა წლითიწლობით მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სპორტული ფორმა. მეორე მხრივ ისინი გვეხმარებიან სპორტული ტექნიკის სრულყოფის პროცესის დაჩქარებაში იმის გამო, რომ გაიზარდა შესასწავლი ელემენტების გამეორების შესაძლებლობა. საწვრთნელ დატვირთვათა დიდი მოცულობა საშუალებას იძლევა ადვილად იქნას დაძლეული საშეჯიბრო დატვირთვა.

რა ფიზიოლოგიურ კანონზომიერებებს ემყარება მაღალ საწვრთნელ დატვირთვათა გამოყენების შესაძლებლობა?

საბჭოთა მეცნიერების მიერ შეკრებილია მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ საკითხის არსს.

ბიოლოგიური თვალსაზრისით სპორტული წვრთნა — ეს არის განსაზღვრულ პირობებში (გარემოში) სპეციფიკური მოქმედების პირობებთან ორგანიზმის შეგუების პროცესი. აკადემიკოს ი. პ. პავლოვისა და მისი მოწაფეების მიერ დამტკიცებულია, რომ ორგანოს, რომელიც ანხორციელებს ამ შეგუებას, წარმოადგენს თავის ტვინის დიდ ნახევარსფეროთა ქერქი.

ცნობილია, რომ კუნთური მუშაობისათვის აუცილებელია ორგანიზმის მთელი რიგი ორგანოებისა და სისტემების მოქმედების გაძლიერება, და, პირველ რიგში სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქმედი კუნთებისა და ცენტრალური ნერვული სისტემისათვის ენერგეტიკულ ნივთიერებათა და ჟანგბადის მიწოდებას და დაშლის პროდუქტების გამოტანას.

ნერვული სისტემისა და პირველ რიგში თავის ტვინის ქერქის მარეგულირებელი და მაკოორდინებელი მოქმედებით, ამ სისტემათა მოქმედება ზუსტად ეგუება კუნთური მუშაობის საჭიროებებს. მაგრამ ასეთი შეგუება უცბად არ ხდება. როგორც პროფესორი ა. ე. კრესტოვნიკოვი მიუთითებს — მამოძრავებელი აპარატის მუშაობაში მნიშვნელოვანი სისწრაფის, ძალის, გამძლეობისა და სიმარჯვის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მთელი რიგი წლების განმავლობაში მთელ ორგანიზმზე ხანგრძლივი და სისტემატური მუშაობით, კერძოდ სასუნთქავ და გულ-სისხლძარღვის სისტემებზე მუშაობით. ეს მიღწევა სულ უფროდაუფრო დიდ მუშაობაში ორგანიზმის თანდათანობით ჩაბმის გზით. სპორტში კი ამ სისტემათა განვითარება და მნიშვნელოვან კუნთურ დატვირთვებთან შეგუება შეიძლება წლების განმავლობაში მუშაობით.

მუშაობისადმი (წვრთნა) ორგანიზმის შეგუების ამ პროცესში არსებობს ორი მნიშვნელოვანი კანონზომიერება: 1. შეგუების სრულყოფა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ორგანიზმს სულ უფრო და უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებენ. მაშასადამე, წვრთნის დროს დატვირთვა მისთვის უნდა წარმოადგენდეს განსაზღვრულ სიძნელეს და მოითხოვდეს ძალთა მობილიზაციას, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება ორგანიზმის სრულყოფა; 2. საწვრთნელ მეცადინეობათა შორის დაცულ უნდა იქნას განსაზღვრული ინტერვალები დასვენებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს აღდგენის პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას.

ფიზიოლოგიას ჯერჯერობით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გააჩნია მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებიც საშუალებას იძლევიან დავსახოთ მუშაობისა და დასვენების რაციონალური შეხამების გზები.

ფიზიკური მუშაობა, რომელიც ტარდება მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იწვევს დაქვეითებას შრომისუნარიანობისას, რომლის აღდგენა ხდება დასვენების პერიოდში.

როგორც პროფესორმა ფოლბორტმა ცხადყო, მუშაობის შემდეგ ორგანოს შრომისუნარიანობის აღდგენა არ მიმდინარეობს სწორი აღმავალი ხაზით: დროდადრო, აღდგენის პერიოდში, ორგანოს ფუნქციონალური შესაძლებლობანი მუშაობის დაწყებამდე შესაძლებლობის ზევით ადის, დროდადრო ისინი სრულფასოვანი ფუნქციის ქვევით ეშვებიან და, ამგვარად, ქრობადი მრუდის ტიპის მიხედვით საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მკვიდრდება დონეზე, რომელიც რამდენადმე აღემატება საწყისს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ შრომისუნარიანობა საწყის დონეს უბრუნდება.

თუ აღდგენის პროცესში განმეორებითი დატვირთვა რამდენჯერმე იქნა მიცემული ფუნქციონალურ შესაძლებლობათა ზრდის მომენტში, ე. ი. როცა ისინი ჯერ კიდევ არაა მტკიცე და მყარი, მაშინ ეს იწვევს ორგანიზმის ფუნქციონალურ შესაძლებლობათა გამოფიტვას.

თუ განმეორებით დატვირთვას მივცემთ მაშინ, როცა შრომისუნარიანობის ამაღლება უკვე განმტკიცებულია, ამით მიიღწევა ორგანოს შრომის უნარიანობის შემდგომი ამაღლება.

თუ განმეორებითი დატვირთვა მიცემულია ხანგრძლივი დასვენების შემდეგ, როცა შრომისუნარიანობა უკვე მისულია საწყის დონემდე, მაშინ შრომისუნარიანობა საერთოდ არ მაღლდება. როგორც ბევრი სხვა ავტორის (ფარფელი, ლეხნიკი, გიპენრეიტერი, გაგუა და სხვ.) გამოკვლევებმა აჩვენეს, ამავე კანონზომიერებებს ძალა აქვთ მთლიანად ორგანიზმის შრომისუნარიანობის აღდგენის პროცესშიც.

აქედან გამომდინარეობს მეთოდური წესი: მუშაობის როგორც მეტად ხანგრძლივი, ასევე მეტად ხანმოკლე შუალედები არ უზრუნველყოფენ ფუნქციონალურ შესაძლებლობათა ზრდას.

პროფესორმა ფარფელმა მთელი რიგი წლების მანძილზე ჩატარებული ცდების კომპლექსით დაადგინა, რომ ყველაზე უფრო ოპტიმალურ ინტერვალს მაქსიმალური ხანგრძლივობის მუშაობის გასამეორებლად (გამძლეობაზე) რბენასა და ბუქნებში წარმოადგენს 3-6 დღე, რომელიც დამოკიდებულია მუშაობის მოცულობაზე.

ორგანიზმის შრომისუნარიანობის აღდგენის პროცესის შესწავლამ აჩვენა აგრეთვე, რომ ძირითად გამაღიზიანებელს, რაც აღაგზნებს აღდგენითი პროცესების ინტენსიობას, დაღლა წარმოადგენს.

პროფესორ იაკოვლევისა და იამპოლსკაიას მთელი რიგი გამოკვლევებით დადგენილია, რომ დასვენების პერიოდში ენერგეტიკული ნივთიერების აღდგენა მიმდინარეობს მით უფრო მეტად, რაც უფრო მეტად იხარჯებოდა იგი მუშაობის დროს და მნიშვნელოვნად აღემატება მუშაობამდელ დონეს.

ამრიგად, მაღალი საწვრთნელი დატვირთვები, რომლებსაც ვიყენებთ დროის ოპტიმალურ ინტერვალებს შორის, ჩვეულებრივ დატვირთვებთან შედარებით იწვევენ ნივთიერებათა ცვლის პროცესის უფრო ღრმა, სწრაფ და მტკიცე გარდაქმნას, როგორც ენერგეტიკული რესურსების დაგროვების, ასევე მათი უფრო ეკონომიური ხარჯვის მხრივ.

მაგრამ აქ წარმოიქმნება ხოლმე ერთი საკითხი: რა ზღვარამდე შეიძლება გავადიდოთ დატვირთვა ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ ორგანიზმს? ორგანიზმის მუშაობის შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ისინი ვლინდება ჩვეულებრივ პირობებში. ცნობილია, რომ სოციალურ მოტივებს: პატრიოტიზმს, მოვალეობის გრძნობას და ა. შ. განსაზღვრულ პირობებში შეუძლიათ მნიშვნელოვნად აამაღლონ შრომისუნარიანობა. მაგალითად, დიდი სამამულო ომის დროს პატრიოტული გრძნობით აღტყინებული ადამიანები იტანდნენ ფიზიკურ დატვირთვებს, რომლებიც მანამდე მათთვის მიუღწეველი იყო.

ზოგიერთი დაავადების დროს ავადმყოფები ანვითარებენ კუნთოვან დაძაბულობას მნიშვნელოვნად უფრო მეტს, ვიდრე მათ შეეძლოთ ეს განევითარებინათ ჯანმრთელ მდგომარეობაში. მაგალითად, კატატონიით დაავადებული ავადმყოფის მოღუნული კიდურების გამართვა არ შეუძლია ფიზიკურად ძლიერ ადამიანსაც კი.

ჰიპნოზურ მდგომარეობაში ადამიანს შეუძლია ხანგრძლივად იწვეს ისე, რომ ერთ სკამს მხოლოდ კეფით ეხებოდეს, მეორეს კი ქუსლებით. ეს კი კარგად გაწვრთნილ ტანმოვარჯიშესაც არ შეუძლია.

არის ცდები, რომლებიც შემდეგს აჩვენებენ: თუ ადამიანს გავაფრთხილებთ, რომ მას ვაძლევთ შრომისუნარიანობის ასამაღლებელ საშუალებას, ხოლო სინამდვილეში მივცემთ ინდეფერენტულ ნივთიერებას, მისი შრომისუნარიანობა მაინც ამაღლდება.

იყო შემთხვევები, როცა ძალოსნები სწევდნენ მათთვის წინათ დაუძლეველ სიმძიმეს, იმის გამო, რომ ფიქრობდნენ — შტანგის წონა ფაქტიურზე ნაკლებიაო.

წინათ დაუძლეველი სიმაღლის გადასალახავად პრაქტიკაში არსებობს მეთოდური ხერხი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ძელებს ჩვეულებრივზე განიერად დგამენ. ეს კი მხედველობით ისე აღიქმება, თითქოს თამასა უფრო დაბლაა დაყენებული, ვიდრე ფაქტიურადაა. ე. წ. აქტიური დასვენების გამოყენება ვარჯიშთა შორის ასევე ადიდებს შრომის უნარიანობას 15-20%-მდე.

ყველა ზემომოყვანილი ფაქტი აიხსნება იმით, რომ ცენტრალური ნერვული სისტემა ჩვეულებრივ პირობებში ორგანიზმს იცავს ენერგიის ზედმეტი ხარჯვისაგან. ზემოაღწერილ შემთხვევებში კი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ორგანიზმს, იყენებს რა სარეზერვო ძალებს, შეუძლია შეასრულოს გაცილებით მეტი მოცულობის მუშაობა.

ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზმს გააჩნია ფუნქციონალურ შესაძლებლობათა განსაზღვრული რეზერვი, რაც გარკვეულ პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანიზმისათვის ზიანის მიუყენებლად.

მაგრამ ამასთან საჭიროა გვახსოვდეს, რომ წვრთნის დროს მაღალი დატვირთვები უნდა დაიგეგმოს ინდივიდუალური მონაცემების (ასაკის, გაწვრთნილობის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ა. შ. გათვალისწინებით) მიხედვით სისტემატური თვითკონტროლისა და საექიმო კონტროლის ქვეშ, რომლის როლი ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება ისე, როგორც სპორტული რეჟიმის მნიშვნელობა.

რჩება კიდევ ერთი საკითხი: რა გზით შეიძლება ვაიძულოთ ორგანიზმი უფრო სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი წვრთნის დროს? როგორც პრაქტიკული ცდა აჩვენებს, ეს შეიძლება მიღწეულ იქნას წვრთნის პროცესში შეჯიბრების ელემენტების უფრო ფართოდ შეტანით, მომეცადინეთა მხრივ მეცადინეობისადმი შეგნებული მიდგომით, მეცადინეობის რაც შეიძლება უფრო საინტერესოდ და მრავალფეროვნად ჩატარებით.

დასასრულ აუცილებელია აღინიშნოს, რომ წვრთნები მაღალი დატვირთვით არ უნდა მისდევდნენ ერთიმეორეს ზედიზედ. ისინი საჭიროა შევუნაცვლოთ ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფისათვის მუშაობას, ან ამა თუ იმ ფიზიკურ ღირსებათა სრულყოფას ამგვარად, რომ წვრთნის ძირითადი პერიოდის დასაწყისში ერთი კვირის საწვრთნელ ციკლში, შეტანილ იქნას მაღალდატვირთვიანი ერთი წვრთნა. შემდგომ კი ასეთი წვრთნების სიხშირე კვირაში უნდა შეადგენდეს ორ-სამს. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ტექნიკის, ტაქტიკისა და ა. შ. სრულყოფისათვის მუშაობისას დატვირთვათა ინტენსიობა აგრეთვე მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს წინანდელ დატვირთვებთან შედარებით.

ი. ალიხანოვი,

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,

გ. თავართქილაძე,

საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

საბჭოთა არმიის მოკრივეთა ჩემპიონატი

ნოვოსიბირსკის „დინამოს“ სპორტულ კლუბში გაიმართა საბჭოთა არმიის პირველობის გათამაშება კრივში, რომელშიც მონაწილეობდა 300-მდე სპორტსმენი.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ფინალური შეხვედრები. უმჩატეს წონაში გაიმარჯვა მინსკელმა სპორტსმენმა ბელიხმა. მაყურებელთა ინტერესი გამოიწვია მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივეების გ. დარბაისელის (თბილისი) და ვ. ლოგინოვის (მოსკოვი) შეხვედრამ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სპორტსმენი ახალგაზრდები არიან, ისინი საკმაოდ გამოცდილ მოკრივეებად ითვლებიან. დაძაბული და საინტერესო ბრძოლა დამთავრდა დარბაისელის გამარჯვებით.

ძლიერად ჩაატარა შეხვედრა საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონმა რ. უსმანოვმა (როსტოვი) ტაშკენტელ პირველთანრიგოსან ვ. ვორობიოვის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა მოსკოველმა ი. სოკოლოვმა მეტად დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა თბილისელ მიქაელიანზე. მოსკოვის ჩემპიონმა ა. ჯაფარიძემ კარგი სტილით ჩაატარა შეხვედრა ფ. დეგტიაროვთან (უკრაინა) და გამარჯვება მოიპოვა. ახალგაზრდა ოდესელმა ნ. შარგოროდსკიმ მოუგო საბჭოთა არმიის გასული წლის ჩემპიონს მოსკოველ ვ. ბორისოვს. პირველი ადგილები მოიპოვეს აგრეთვე ა. ბუდილსკიმ (კიევი), ლ. სარაევმა (ოდესა), ვ. ჩერნიშოვმა (სიმფეროპოლი) და გ. რომანოვმა (მოსკოვი).

გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა მოსკოვის ოფიცერთა სახლის კოლექტივს.

უკანასკნელი წლის განმავლობაში მაღალ სპორტულ მაჩვენებლებს მიაღწია „ნორჩი დინამოელის“ ახალგაზრდა მძლეოსანმა ლ. სესაძემ. დაუღალავი, ყოველდღიური ვარჯიშით, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს ცნობილი მწვრთნელი ბ. ტახტაროვი, ახალგაზრდა მძლეოსანი დღითიდღე აუმჯობესებს შედეგებს ბადროს ტყორცნაში.

ამას წინათ თბილისში გაიმართა ქალაქის ძირეული კოლექტივების მძლეოსანთა გუნდების შეჯიბრება, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა ლ. სესაძე. სესაძემ ბადრო ტყორცნა 43 მეტრსა და 7 სანტიმეტრზე. ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია გოგონებისათვის.

• • •

სურათზე: საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ლ. სესაძე.

საბჭოთა ფეხბურთელები

საზღვარგარეთ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

1 ნოემბერს მოსკოვის „ტორპე
დომ“ ჩაატარა მეორე ამხანაგუ
შეხვედრა გერმანიის დემოკრატიუ
რესპუბლიკაში. მოსკოველთა წი
აღმდეგ თამაშობდა ქ. ერფურტ
გუნდი „ტურბინა“. ტორპედოელ
მა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ან
რიშით 2:1.

პოლონეთში

სილეზიის ქალაქ ხოჟუვში, სპორტ
საზოგადოება „უნიას“ სტადიონზ
სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკ
ვის „სპარტაკმა“ ჩაატარა ამხანაგ
რი შეხვედრა სტალინოგრუდის
ვოევოდის ნაკრებ გუნდთან.

თამაშის პირველი ნახევარი მ
დინარეობდა საბჭოთა ფეხბურთ
ლების უპირატესობით. მათ მოწ
ნააღმდეგის კარში გაიტანეს ორ
ბურთი. მეორე ტაიმში პოლონელ
ბი თამაშობდნენ გაცილებით უკ
ვიდრე პირველში და გაათანაბრ
კიდეც ანგარიში. თამაშის დამთ
რებამდე სპარტაკელებმა შეძლ
გადამწყვეტი ბურთის გატანა
მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 3:2.

ფინეთში

1 ნოემბერს ჰელსინკის ოლ
პიურ სტადიონზე საბჭოთა ფეხბუ
თელთა გუნდი „ზენიტი“ (ლენ
გრადი) შეხვდა ჰელსინკის ნაკრ
გუნდს (ფაქტიურად გუნდში თა
შობდა ფინეთის ნაკრები გუნდ
თითქმის ყველა მოთამაშე).

ანგარიში გაიხსნა უკვე
წუთზე — ბურთი გაიტანა მარ
ტინმა. რამდენიმე ხნის შემ
ლენინგრადელთა ცენტრალურმა თ
დამსხმელმა ბონდარენკომ ანგარ
ორამდე გაზარდა.

მატჩი დამთავრდა ლენინგრად
„ზენიტის“ გამარჯვებით, ანგა
შით 2:0.

• • •

ჩეხოსლოვაკიის სპორტული ორ
ნიზაციების მიწვევით მოსკოვი
პრაღას გაემგზავრა მოსკოვის „
ნამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. მ
კოველი ფეხბურთელები ჩაატა
ბენ რამდენიმე ამხანაგურ შეხვე
რას ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან.

• • •

ამხანაგური საერთაშორისო შ
ხვედრების ჩასატარებლად რუმინ
მიემგზავრება თბილისის „დინამ
ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.

როგორ ვემზადებით ზამთრის სპორტული სეზონისათვის?

გაზეთ „ლელოს“ რეიდი

ვინც იგრძნო ზამთრის მოახლოება

სპორტული დარბაზის კეთილმოსაწყობად ჯერ კიდევ შემოდგომაზე გამოყვეს საკმაო თანხა. საფუძვლიანად შეკეთდა ინვენტარი, სამედიცინო კაბინეტი, ტანსაცმლის გასახდელები, დამატებით შეიძინეს სპორტული იარაღი. ამგვარად, სუხუმის სპორტულ სკოლაში ნორმალური პირობებია შექმნილი ზამთარში სამეცადინოდ.

რკინიგზის საშუალო სკოლის დირექციამ 7.000 მანეთის სპორტული ინვენტარი და იარაღი შეიძინა. სპორტდარბაზი უზრუნველყოფილია გათბობით, სინათლით. მოსწავლეები უკვე მეცადინეობენ კეთილმოწყობილ დარბაზში.

ასეა ყველგან, სადაც ზამთრის მოახლოება იგრძნეს და დროულადაც დაიწყეს მზადება. მაგრამ არიან ჩამორჩენილნიც.

სპორტსმენებზე ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ

სუხუმში გულდასმით არემონტებენ პედაგოგიური ინსტიტუტის შენობას ზაფხულობით. წელს კაპიტალურადაც შეაკეთეს, მაგრამ დირექციას ყოველთვის, რატომღაც, „მხედველობიდან რჩება“ სპორტული დარბაზის კეთილმოწყობა.

— ეს იმიტომ, — გულნაკლულად ამბობენ სტუდენტები, — რომ ინსტიტუტის დირექციას სპორტსმენებზე ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია.

სწორედ ამიტომ არის, რომ ერთადერთი სპორტული დარბაზი ახლაც კი ნაგვითაა სავსე, უწესრიგოდ ყრია ლეიბები, მოუწყობელია კალათბურთის ფარები, რგოლებზე ხელის მოკიდება საშიშია, რადგან თოკი გაწყვეტაზეა. ტანსაცმლის გასახდელ ოთახებში კედლები ჩამონგრეულია, ფანჯრებს საკეტები არა აქვს.

ერთ დროს აქ ძალოსნების სავარჯიშოდ ცალკე ოთახი იყო გამოყოფილი. ახლა ის საერთო საცხოვრებლის მრეცხავ მ. კეიანოვას სამზარეულოდ აქვს გამოყენებული.

სხვას რომ თავი დავანებოთ, დღემდე სპორტული დარბაზის განათებისა და გათბობისათვისაც კი არ უზრუნიათ.

— დარბაზს ვინ დაეძებს, — გულგრილად აცხადებს საერთო საცხოვრებლის კომენდანტი ო. ფოცხვერია, — სტუდენტებს ღამე კითხვის საშუალებაც არა აქვთ.

სტუდენტებს ელემენტარული პირობები არ გააჩნიათ ზამთარში სავარჯიშოდ. აი, რატომ არის, რომ სტუდენტი სპორტსმენები ასპარეზობებში ხშირად წარუმატებლად გამოდიან.

ანალოგიურ მდგომარეობაშია „მედიკის“ საოლქო საბჭოს სპორტული დარბაზი, რომლის კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავს.

ქალაქის ახალგაზრდობის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა „სპარტაკმა“ სპორტული დარბაზის მშენებლობა დაიწყო, მაგრამ მათი იმედები მალე გაცრუვდა... შვიდი თვის წინათ შენობის ფასადი შეათეთრეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. სპორტული დარბაზი მიმდინარე ზამთრის სპორტული სეზონისათვის მოუმზადებელია, ხოლო 60.000 მანეთის ინვენტარი აწყვია... საწყობში!

სპორტსაზოგადოება თუ სავაჭრო ორგანიზაცია?!

მოზრდილი წარწერა გამცნობთ, რომ აქ სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ საბჭოა მოთავსებული, შეხვალთ შიგ და უმალ თვალში გეცემათ სხვადასხვა სანოვაგით დატვირთული დახლი (!). თურმე ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექციას აქ სასაუზმე მოუწყვია, ხოლო სპორტულ დარბაზში — საკლასო ოთახი. ცხადია, ასეთ პირობებში ზამთრის სეზონისათვის მზადებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ქალაქის სკოლებში რატომღაც ზედმეტად მიიჩნევენ სპორტულ დარბაზებს. თუ რაიმესთვის ბინა დასჭირდათ, მაშინვე ფიზკულტურელებისათვის განკუთვნილ ოთახს გააუქმებენ. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ქალთა პირველ საშუალო სკოლაში. ბევრ სკოლას ზამთრის პირობებში სამეცადინოდ სპორტული დარბაზი კი არა, სპეციალური სავარჯიშო ოთახებიც არ გააჩნია. ვაჟთა მეოთხე საშუალო სკოლაში ცუდი ამინდის დროს მოსწავლეებს დერეფნებში ამეცადინებენ.

ღია ცის ქვეშ მეცადინეობის შეუფასებლობა

თბილი ამინდი ღია ცის ქვეშ, მოედნებზე, სარბენ ბილიკებზე სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისათვის შესანიშნავ პირობებს ჰქმნის. სამწუხაროდ, სუხუმში სპორტული ორგანიზაციები ღია ცის ქვეშ მეცადინეობის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ.

სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ „დინამოს“ სტადიონის კეთილმოწყობას საშველი არ დაადგა. სარბენი ბილიკები მოუწყობელია, მაყურებელთა დასაჯდომები ალაგ-ალაგ დამტვრეული, საშხაპო და გასახდელი ოთახები შესაკეთებელია. ქალაქის ამ ერთერთ დიდ სპორტულ ბაზაში ზამთარში შეუძლებელია რაიმე ღონისძიების მოწყობა.

კეთილმოუწყობელია კალათბურთის მოედანიც. მართალია, წელს მის რემონტზე საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა, მაგრამ ფაქტიურად თითქმის არაფერი გაკეთებულა.

დადგა ზამთრის სპორტული სეზონი, მაგრამ სუხუმში ეს ჯერ კიდევ არ იგრძნობა.

პ. ლეთოდიანი,
ა. ჩაჩავა,
ხ. ლაგვილავა.

შეიძინეს ინვენტარი, შეაკეთეს დარბაზები

ზამთრის სპორტული სეზონი კარზეა მომდგარი. მალე ფიზკულტურელები დატოვებენ სპორტულ მოედნებს და სამეცადინოდ დარბაზებში გადავლენ. თელავში საამისოდ უკვე დაიწყეს მზადება. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა სკოლებში. სპორტსკოლის დარბაზი უზრუნველყოფილია გათბობით, სრულ წესრიგშია ინვენტარი. აქ დროულად შეადგინეს ზამთრის სპორტული კალენდარი. სკოლებში მეცადინეობა მიმდინარეობს სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში, რომლებიც უზრუნველყოფილია სპორტინვენტარითა და გათბობით.

ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული დარბაზი წელს საფუძვლიანად შეაკეთეს. ინსტიტუტმა შეიძინა 30 წყვილი თხილამური და 20 წყვილი სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი, ხელთათმანები და სხვ. ზამთრის სპორტულ კალენდარში ფართო ადგილი უკავია სათხილამურო სპორტს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში, მათ შორის სპორტსკოლაშიც კი, ნაკლებად ფიქრობენ სათხილამურო სპორტის განვითარებაზე. ამ მხრივ უფრო ცუდი სურათია სპორტულ საზოგადოებებში.

ზამთრის სეზონისათვის მზადება არ იგრძნობა „კოლმეურნის“ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში.

ა. სახიევი,
ს. უჩიაშვილი,
ა. მაისურაძე.

დედაქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის სექციაში 200-მდე ბავშვია გაერთიანებული. ზამთრის სეზონის დადგომისთანავე ნორჩი სპორტსმენები შეუდგნენ ზამთრის სპორტული ინვენტარის წესრიგში მოყვანას.

სურათზე: პედაგოგ დ. გოზალიშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა მოთხილამურეები აწარმოებენ ზამთრის სპორტული ინვენტარის შეკეთებას.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

სტუდენტთა სპარტაკიადა

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სპარტაკიადები. ისინი საგრძნობლად უწყობენ ხელს სპორტსმენთა ოსტატობის ზრდას, ნიჭიერ ახალგაზრდობის გამოვლენას და ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ.

ორი კვირაა, რაც გაიხსნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სპარტაკიადა. სხვადასხვა ფაკულტეტის უძლიერესი სპორტსმენები ერთმანეთს პირველობას ეცილებიან ტანვარჯიშში, ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ძლეოსნობასა და სპორტის სხვა სახეობაში.

უკვე დამთავრდა ასპარეზობა კალათბურთში. ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის გუნდმა, ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ტექნოლოგიური ფაკულტეტი.

საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა სტუდენტ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება. ამასწინათ „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ინსტიტუტის უძლიერეს ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა. ითამაშეს სატყეო და მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტების წარმომადგენლებმა. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა სატყეო ფაკულტეტის სპორტსმენთა გამარჯვებით — 5:4.

* * *

სურათზე: თამაშის მომენტი სატყეო ფაკულტეტის გუნდის კართან.

ფოტო მ. ზარგარიანისა

სათხილამურო სპორტის აღმავლობისათვის

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის სპორტულ სარბიელზე. ჩვენი კალათბურთელები, ფეხბურთელები, მოჭიდავეები, მძლეოსნები, მოკრივეები, ძალოსნები, ტანმოვარჯიშეები ხშირად იკავებენ მოწინავე ადგილებს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, წლითიწლობით იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას.

საქართველოს წარმომადგენელთა მაღალ მიღწევებს სამარცხვინოდ ჩამორჩნენ მოთხილამურეები. შეიძლება ითქვას, რომ სპორტის არც ერთ სახეობაში არა გვაქვს ისეთი ჩავარდნა, როგორც თხილამურებში.

საკავშირო პირველობებში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი სისტემატურად ბოლო ადგილებზე გამოდის. 1952 წელს სათხილამურო რბოლის გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მოთხილამურეებმა 16 გუნდში დაიკავეს... მე-15 ადგილი. ცალკეული „მიღწევებიდან“ 10 კილომეტრზე რბოლაში დაკავებულია ადგილები 72-დან — 94-მდე (ეს 100 მონაწილეში). რბოლაში 50 კილომეტრზე ერთი შედეგი უფრო სასიხარულოა — 32-ე. დანარჩენები განლაგდნენ 84, 85, 97 ადგილებზე.

ასეთივე მდგომარეობაა სამთო-სათხილამურო სპორტშიც. და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა საქართველოს აქვს ყველა პირობა სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის, მაღალი კლასის მოთხილამურეების აღსაზრდელად. სამხრეთ ოსეთში, ონის, ბოგდანოვკის, თელავის, ხულოს, ბორჯომის, მესტიის რაიონებში (რომ არაფერი ვთქვათ ბაკურიანზე) შეიძლება გაიშალოს ფართო და ნაყოფიერი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, აღიზარდონ კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები.

ამასწინათ შედგა სათხილამურო სპორტის რესპუბლიკური სექციის პლენუმი, რომელზეც განხილულ იქნა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

პლენუმმა მოისმინა ლ. გიორგაძის მოხსენება: „საქართველოში სათხილამურო სპორტის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ“, კ. ასტახიშვილის საანგარიშო მოხსენება რესპუბლიკური სექციის მუშაობის შესახებ, ა. ბალაევიჩის მოხსენება საკავშირო სექციის პლენუმის შედეგებზე.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა კამათი. სიტყვებით გამოვიდნენ გელაშვილი (ბორჯომი), ჩიქოვანი (ხაშური), ხაჩიანი (ონი), სუჯაშვილი (ყაზბეგი), იარალაშვილი (ხულო), სარქისოვი (ადიგენი), მელქონიანი (ახალქალაქი), სლიუდენკო (ბათუმი), მხეიძე (ბაკურიანი) და სხვები.

მოკამათეებმა მრავალი საინტერესო, კონკრეტული საკითხი წამოჭრეს. განსაკუთრებით მწვავედ აღინიშნა ბაზების, ინვენტარისა და მეთოდური სახელმძღვანელოების სიმცირე, გაკრიტიკებულ იქნა მწვრთნელთა მუშაობა. სამართლიანად გაიკიცხა ცალკეულ მოთხილამურეთა არასპორტული საქციელი, ერთი სპორტსაზოგადოებიდან მეორეში მათი არაკანონიერი გადასვლის გამო.

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. თ. მაჩაბელი. პლენუმმა სექციის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად. არჩეულ იქნა სათხილამურო სპორტის რესპუბლიკური სექციის პლენუმის ახალი შემადგენლობა.

წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „ლელოს“ 7 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი „დახმარების ნაცვლად“, რომელშიც ლაპარაკი იყო „კოლმეურნის“ ქუთაისის რაისაბჭოში ჩაშლილ მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაზე.

როგორც საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ქერქაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და დასახა ღონისძიება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სპორტის ისტორიიდან

„თითქმის ყველა ასე ისვრის!“

რევოლუციამდელი რუსული სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე პანინ-კოლომენკინს. უცხოეთის სტადიონებზე მას არაერთგზის უსახელებია მშობლიური ქვეყანა ციგურებით ფიგურულ სრიალსა და სროლაში.

1908 წლის 16 (29) ოქტომბერს ლონდონში ხელოვნურ ყინულზე გაიმართა შეჯიბრება IV მსოფლიო ოლიმპიადის ერთერთ სახეობაში — ციგურებით ფიგურულ სრიალში. აქ პანინმა დაიმსახურა ოლიმპიადაში გამარჯვებულის სიგელი და ოქროს მედალი. აღსანიშნავია, რომ მანამდე არცერთ რუს სპორტსმენს არ ჰქონდა მოპოვებული ეგრეთწოდებული „ოლიმპიონიკის“ წოდება.

ბრუნდებოდა რა ლონდონიდან სამშობლოში, ნ. ა. პანინ-კოლომენკინი პარიზს ესტუმრა, რომელიც იმ დროს სასროლო სპორტის მსოფლიო ცენტრად ითვლებოდა. ჩასვლისთანავე მან „გასტონ რენეტის“ ტირს მიაშურა — სურდა თავი გამოეცადა, თუ როგორ ისროდა (ხუთი თვე ხელში არ აეღო იარაღი) და, წარმატების შემთხვევაში, ცდილიყო შეესრულებინა 12 სროლა ოქროს მედალზე. პანინს მისცეს სპეციალური სასროლი კაბინა. აქ მასთან ერთად იყო შარეერი — ტირის მოსამსახურე, რომელიც თვალს ადევნებდა წესრიგს, სროლის უსაფრთხოებას და მუხტავდა მსროლელთა დამბაჩებს. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ისროდა დევემის სისტემის საკუთარი დამბაჩით.

პირველი ტყვია მოხვდა საერთაშორისო სამიზნის შავ წრეში — ექვსიანში. მეორე — იქვე. შემდეგი ხუთი ტყვია დაახლოებით იმავე ადგილას განლაგდა, შექმნა რა მჭიდრო ჯგუფი. საქმე იმდენად კარგად მიდიოდა, რომ პანინმა გადაწყვიტა ეთხოვა დაედგათ მისთვის საკონკურსო სამიზნე ოქროს მედალზე სასროლად. მაგრამ ამ დროს მოესმა შარეერის ხმა:

— მუსიე, თქვენი სროლის შედეგი ოქროს მედალს უახლოვდება!...

— როგორ?... ეს ხომ უბრალო საცდელი სამიზნეა? — გაოცებით წამოიძახა პანინმა.

მაგრამ შემდეგი გამოირკვა: თურმე შარეერი ტირში ოფიციალური პიროვნება ყოფილა და მისი თანდასწრებით შესრულებული სროლა შეიძლება შეტანილ იქნას შეჯიბრების ანგარიშში. პანინის მიერ ნასროლი შვიდი ტყვია მეოთხე სარტყელის შიგნით იყო მოთავსებული, მაშასადამე საჭიროა კიდევ ხუთი ტყვიის იქვე ჩაჯენა და ჯილდოს პირობები შესრულებული იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა გამოჩენილმა ოსტატმა მსროლელმა სცადა შეესრულებინა ამ ჯილდოს პირობები, მაგრამ ამაოდ. ტირში გაკრული იყო ტყვიებით დაცხრილული მხოლოდ სამი სამიზნე, რომლებსაც მიეკუთვნათ ოქროს მედალი, ხოლო ლაურეატთა შორის იყვნენ ამერიკელი პროფესიული მსროლელი აირა-პენი, რუსი ჩემპიონი მ. ვ. სემიჩოვი და ფრანგი მარკიზი დე-კასტელ-ბაჟაკი.

როცა ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძემ გაიგო, რომ მისი სამიზნე შეიძლება ჩათვლაში მოხვედრილიყო, აღელდა: ადვილი როდი იყო კიდევ ხუთი ტყვიის სამიზნის გულში გარტყმა!

მაგრამ გამოცდილმა სპორტსმენმა მტკიცე ნებისყოფა გამოიჩინა, დამშვიდდა და გაზარდა გასროლებს შორის შუალედები. მოარტყა მერვე, მეცხრე... მეათე. ააცდენს ახლა თუ არა?... არა, მეთერთმეტეც იქვე! გაისმა მოწონების შეძახილები. როდესაც რუსმა მსროლელმა უკან მოიხედა, კაბინის მინის კედლის უკან დაინახა ბინოკლმომარჯვებული ფრანგების დიდი ჯგუფი — ისინი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს სროლის მიმდინარეობას.

პანინმა იგრძნო, რომ რადაც უნდა დაჯდომოდა თავი არ უნდა შეერცხვინა — საკითხი ეხებოდა არა მარტო მის, არამედ, რაც მთავარია, რუსული სპორტის სახელსაც. გამარჯვება კი ასე ახლო იყო. დაუმიზნა, მაგრამ უმალვე ხელი დაუშვა — იგრძნო, რომ იგი ოდნავ ტოკავდა... ბოლოს ღრმად ამოისუნთქა, გახედა სამიზნეს და მკლავი გაამაგრა. თითით თანდათან დააწვა სასხლეტს და აი, გაისმა სროლის ხმა. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძემ გაფართოებული თვალებით გახედა სამიზნეს და შვებით ამოისუნთქა — ტყვია ცენტრში იყო გარტყმული. ეს ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ფრანგმა მაყურებლებმა მას ოვაცია მოუწყეს. გულით ულოცავდა წარმატებას აგრეთვე შარეერი, რომელიც აღტაცებული იყო რუსის ოსტატობით.

პანინს აქვე წინადადება მისცეს დაეწყო სროლა ვერცხლის მედალზე. გამარჯვებისათვის საჭირო იყო რკინის კავზე ჩამოცმული ქათმის კვერცხის ოდენა თაბაშირის 25 თალფაქის აუცდენელად ზედიზედ დამსხვრევა.

პანინმა შესანიშნავად ჩაატარა სროლა და დაიმსახურა ვერცხლის მედალი. წარმატებით აღფრთოვანებულმა განაგრძო სროლა და ზედიზედ დაამსხვრია უკვე 25 კი არა, არამედ 50 თალფაქი. ამის აღსანიშნავად მას გადაეცა კიდევ ერთი ჯილდო — ბრინჯაოს მხატვრული პლაკეტა, რომელზედაც ბარელიეფურად აღბეჭდილი იყო დამბაჩა და ტირში დამბაჩით სროლა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სენსაცია გამოიწვია დამსწრეთა შორის „შემთხვევითი“ მსროლელის ამ გასაოცარმა ოსტატობამ. ფრანგები ინტერესით ეკითხებოდნენ რუს სპორტსმენს, — ბევრია რუსეთში თქვენისთანა მსროლელები? იგი ღიმილით და სიამაყით უპასუხებდა: „თითქმის ყველა ასე ისვრის!“.

ნ. ა. პანინ-კოლომენკინს მის დამბაჩებში შეაძლიეს 6.000 ფრანკი ოქროთი, მაგრამ მან უარი განაცხადა გაეყიდა იარაღი, რომელმაც მთელ პარიზში გაუთქვა სახელი რუსულ სასროლო სპორტს.

საქართველოს პირველობა

1 ნოემბერს გაიმართა მეორე წრის მორიგი კალენდარული შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. „ა“ ქვეჯგუფში მეტად საინტერესო გამოდგა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდის მატჩი ბორჯომში ადგილობრივ ნაკრებთან. მასპინძლებმა ითამაშეს მონდომებით, ენერგიულად და შეხვედრა დაამთავრეს ფრედ — 1:1.

თელავში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და გორის დინამოელები. გორელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ერთი ბურთი და გაიმარჯვეს.

„ბ“ ქვეჯგუფში ყურადღების ცენტრში იყო ბათუმის „დინამოს“ მატჩი მახარაძის „კოლმეურნესთან“. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ნახევრის მე-16 წუთზე ანგარიში გახსნეს დინამოელებმა. სტუმრების საპასუხო, ენერგიულ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. შეხვედრა მოიგო ბათუმის „დინამომ“.

ქუთაისის დინამოელებმა ითამაშეს სტალინირში, „სპარტაკთან“. შეხვედრა დამთავრდა მათი გამარჯვებით — 2:1.

წარმატებას მიაღწიეს ხაშურის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა. მათ ზუგდიდში დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს ადგილობრივი „დინამო“.

საწვრთნელი მატჩი

1 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ერევნის დინამოელები.

თამაშის დასაწყისში მარღანიამ შეცდომის შედეგად, უყურადღებოდ მიიღო შორი მანძილიდან ნელა დარტყმული დაბალი ბურთი, გოლი იქნა გატანილი თბილისელთა კარში. მე-15 წუთზე ლოლობერიძემ ანგარიში გაათანაბრა. ტაიმის დასასრულს კალოევმა კარგად გამოიყენა ლოლობერიძის გადაცემა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში თბილისის „დინამოს“ ჰქონდა ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენა. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა გამარჯვებით.

სპორტული ქრონიკა

ქუთაისის რკინიგზის ქალთა 21-ე საშუალო სკოლაში ჩატარდა შეჯიბრება ფრენბურთში. პირველ ადგილზე გამოვიდა მე-102 კლასის, ხოლო მეორეზე მე-9 კლასის გუნდი.

ნ. მგელაძე.

• • •

ამბროლაურში ერთ თვეს გრძელდებოდა რაიონის 1953 წლის მოსწავლე ფეხბურთელთა პირველობა. მონაწილეობდა 12 გუნდი. სადმელის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა 22 შესაძლებლიდან დააგროვა 21 ქულა და პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ამბროლაურის საშუალო სკოლა.

ბ. მურუსიძე.

• • •

ცხაკაიას ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში ჩატარდა შიდა-სასკოლო შეჯიბრება ფრენბურთსა და კალათბურთში. შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ X და XI კლასის გუნდები. კალათბურთში გამარჯვება მოიპოვა X კლასის გუნდმა. ფრენბურთში — XI კლასის მოსწავლეებმა.

ნ. ნანეიშვილი.

• • •

ნაფარეულისა და ფშაველის საშუალო სკოლების ფრენბურთელ და კალათბურთელთა ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც ნაფარეულში (თელავის რაიონი) ჩატარდა, გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

რ. ბებიაშვილი.

ა. ჩისტიაკოვი

კურდღლების წარმატება

კურდღელთ გუნდი რბენისაგან გაიოფლა, გაითქვა,
თქვეს: „სირბილი მოგვეწყინა, ჩვენი საქმე არის შტანგა“.

ერთ მზიან დღეს ითათბირეს: „რომ არა თქვან დავძაბუნდით,
შტანგა ვცადოთ, წავების გუნდს შევაჯიბროთ ჩვენი გუნდი“.

აზრი ყველამ მოიწონა, დაეთანხმა ყველა ერთხმად:
„ერთიც ვნახოთ გავიმარჯვოთ, მოგვიმართოს ხელი ღმერთმა“!

სიცილად არ ეყოთ წავებს: „რას ბედავენ, ახლა ნახეთ,
კურდღლებიც თუ ჩვენ გვაჯობებს, მაშინ თვალებს არ გავახელთ“.

მოხერხებაც, ოსტატობაც და ძალღონეც მეტი ჰქონდათ,
ვინ აწონოს, რაც მათ წონა აჰქონდათ და ჩამოჰქონდათ.

დამფრთხალ კურდღლებს დაეკარგათ გამარჯვების რწმენა მალე
და დათვს თხოვეს: „ნუ შეგვარცხვენ, დაგვიხსენი, გენაცვალე.

მუდამ ტკბილად გვმეზობლობდი, შენლა გვყავხარ საიმედოდ.
გაჭირვების ტალკვესი ხარ, ახლაც აღარ გაგვიმეტო.

თუკი შენი დახმარებით მოვიპოვებთ პირველობას,
ვალში არც ჩვენ არ დავრჩებით, დაგიფასებთ, ძმაო ძმობას.

ძმობას ძმობით ვუპასუხებთ, თაფლი გინდა, მოგცემთ თაფლად“....
და ბაჯბაჯა დათუნიაც ამით ისე მოითაფლა,

რომ თვით თხოვნის დასრულებაც დამფრთხალ კურდღლებს არ აცალა
და შეჰყვირა: „თანახმა ვარ, მოიხმარეთ ჩემი ძალა“.

რომ არ ეცნოთ, დანიშნულ დღეს გააშიშვლეს დათვი სრულად
და ჩააცვეს კურდღლის ნიშნით შემკობილი მაისურა.

სხვა წოდება მოუნახეს და მონათლეს სხვა სახელით,
რომ ეჭვში არ შესულიყო მისი დრუნჩის დამნახველი.

შეაჯიბრეს დათუნია და ყალბ გუნდში ყველა ხარობს,
გაიმარჯვეს ოსტატ წავთა გასაოცრად, სამწუხაროდ.

დაცუცქული კურდღელთ გუნდი დათვს ტაშს უკრავს წარამარა,
მათმა „წარმომადგენელმა“ რეკორდი რომ დაამყარა.

შემდეგ, როცა მსაჯმა „ქველმა“ იწყო ჯილდოს გადაცემა,
რაც გინდ ვცადო, ვეღარ აღვწერ მე კურდღლების აღტაცებას.

აყაყანდნენ, აცუნდრუკდნენ, მთლად წაიღეს ყურთა სმენა,
წავების გუნდს ყბად იღებდნენ: „ხომ გიჩვენეთ ვინ ვართ ჩვენა?“

რაო, ჩვენმა გამარჯვებამ გაგაკვირათ, აგამბოხათ?
რამდენიც არ გაიჭიმოთ, ჩვენთან მაინც ვეღარ მოხვალთ.

* * *

ამას წინათ ხმა გავარდა, რომ ხტომაშიც თურმე უნდათ
პირველობა უსათუოდ მოიპოვოს კურდღელთ გუნდმა.

ამიტომაც მოიყვანეს არჩვი მთიდან მთაზე მხტომი,
რომ ერთხელაც ასახელონ თავიანთი გუნდი, ტომი.

თუ კი მსაჯი არ შეცვლილა და მოქმედებს მისი სტვირი,
გამარჯვება კურდღლებს დარჩეთ, აბა რაა გასაკვირი?.

თარგმნა **მ. ქარჩავამ**

ფრენბურთელთა შეხვედრები

დამთავრდა თბილისის გარეუბნის რაიონის პირველობის გათამაშება ფრენბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფლების — მარტყოფის, კოჯრისა და დიღმის მექანიზაციის ტექნიკუმის კოლექტივები.

პირველ ადგილზე გამოვიდნენ სტუდენტები, მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს მარტყოფისა და კოჯრის სპორტსმენებმა.

ალ. ღუბიანური

ყოველი მხრიდან

ევროპის ფეხბურთის მოედნებზე

ოსლო. აქ გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში „სპარტაკს“ (ნორვეგია) და ფინეთის მუშათა სასპორტო კავშირის ნაკრებ გუნდს შორის. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვეს ნორვეგიელებმა.

• • •

კოპენჰაგენი. დანიისა და ფინეთის ეროვნული გუნდების ამხანაგური შეხვედრა მოიგეს დანიის ფეხბურთელებმა — 6:1. მათვე გაიმარჯვეს მეორე გუნდების შეხვედრაში — 3:1.

• • •

ამსტერდამი. აქ, ოლიმპიურ სტადიონზე, 55 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა შეხვედრა ფეხბურთში: ევროპა (ნაკრები) — „ბარსელონა“ (ესპანეთი). ევროპის გუნდში პირველ ტაიმში თამაშობდნენ ცემანი („რაპიდი“ ავსტრია); შტოტცი („ავსტრია“), ჰაპელი („რაპიდი“), ჰანაპი („რაპიდი“); ოსვირიკი („ავსტრია“), ბრინეკი (მონაკო), ბონი სტრი („იუვენტუსი“), ლორენცი („ინტერნაციონალე“, იტალია), ვუკასი (იუგოსლავია), კუბალა (ესპანეთი), ცებესი (იუგოსლავია).

თამაშის მე-15 წუთზე „ბარსელონას“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ცეზარმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა მეტად სწრაფი კომბინაცია. მხოლოდ მე-40 წუთზე იქნა ანგარიში გათანაბრებული — ვუკასის მიწოდებიდან ბურთი გაიტანა ცებესმა. ამ ანგარიშით წავიდნენ გუნდები შესვენებაზე. თამაშის მეორე ნახევარში ევროპის ნაკრები გუნდი მოედანზე გამოვიდა შეცვლილი შემადგენლობით. შტოტცის ნაცვლად თამაშობდა ესპანელი ნავარო, ჰაპელი შეცვალა პოსიპალმა (დასავლეთ გერმანია), ბრინეკი — ჩაიკოვსკიმ (იუგოსლავია), ლორენცი — კოპენმა (ბელგია), ხოლო ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი კუბალას ნაცვლად დაიკავა ჰუნარ ნორდალმა („მილანი“ იტალია). კუბალამ ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი დაიკავა თავის გუნდში — „ბარსელონაში“.

51-ე წუთზე ბონისტრიმ ანგარიში ორამდე გაზარდა, ორი წუთის შემდეგ კი ანგარიში უკვე 3:1 იყო — ბურთი გაიტანა ნორდალმა. 57-ე წუთზე „ბარსელონას“ კარში გავიდა მეოთხე ბურთი. იგი გაიტანა ბელგიელმა კოპენმა. ამის შემდეგ ერთხანს შეტევაზე არიან ბარსელონელები და მალე ბასერამ შეძლო მეორე ბურთის გატანა. გონგის შემდეგ ნორდალმა უკანასკნელი, მეხუთე ბურთი გაიტანა. მსაჯის ვან-დერ მეერის (ჰოლანდია) ფინალურ სასტვენამდე ეს ანგარიში აღარ შეცვლილა.

• • •

ოსლო. „ბიშლეტის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს (4:0) ნორვეგიელებმა.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

ოსლო. ამას წინათ „ბიშლეტის“ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება მძლეოსნობაში. მსოფლიო რეკორდსმენმა 1.000 მეტრზე რბენაში ა. ბოისენმა 1.500 მეტრი 3:48,2 წუთში დაფარა, რაც ნორვეგიის ახალი რეკორდია.

• • •

ლონდონი. ინგლისელი სტაიერი გორდონ პაირი ცდილობს გააუმჯობესოს მსოფლიო რეკორდი 10.000 მეტრზე რბენაში, რომელიც ზატოპეკს ეკუთვნის (29:02,6). ამას წინათ პაირიმ ამ დისტანციაზე აჩვენა 29:17,2, რაც მეორე შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში.

ინგლისელმა მარათონელმა, 34 წლის ჯ. პეტერსმა ტურკუში (ფინეთი) გამართულ შეჯიბრებაში მარათონულ რბენაში აჩვენა 2.18:34,8. ეს შედეგი საუკეთესოა მარათონულ რბენის ისტორიაში.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11087